91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

91 წელი თქვენთან ერთად!





„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №22 (7120) 18 ნოემბერი 2024 წელი

„თერჯოლობა“ 2024

„ჩემს თერჯოლას სკანდის ციხით დავუდგები დარაჯად, დავცემულვარ მუხლზე ლოცვად დედაღვთისას კარადა, სიყვარული მოდის ჯარად, სიძულვილი არა ჩანს...“

თერჯოლობა 2024 შედგა!

16 ნოემბერს, მთელი დღის გადაუღებელი წვიმის შემდეგ, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ მეორე დღეს, თერჯოლაქალაქობის ზეიმს, შესანიშნავი მზიანი დარი დაუდგებოდა. მართლაც ნანატრი ამინდი იყო...

დილიდანვე იგრძნობოდა, რომ ამ სახალხო დღესასწაულისათვის, მის ორგანიზატორებს—მუნიციპალიტეტის თვითმართველობას, კონკრეტულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს, სხვადასხვა სამსახურებსა თუ უწყებებს, დღესასწაულისათვის მზადებაში ჩართულ საჯარო მოხელეებსა თუ რიგით მონაწილეებს ყველაფერი ზუსტად და კარგად ჰქონდათ გათვლილი...

არცერთ წინა თერჯოლობას არ ახსოვს ასეთი ხალხმრავლობა, როგორც ეს თერჯოლობა 2024-ზე იყო...

მთავარია, რომ თერჯოლელები და ჩვენი სტუმრები ამ ზეიმზე მოვიდნენ ერთმანეთს მონატრებულნი და გაღიმებული სახეებით.

მშობლიური რაიონის და ერთმანეთისადმი სიყვარული იგრძნობოდა ირგვლივ. ყველას გული გამოსცემდა იმ სითბოს, რაც თითოეულ თერჯოლელს უხვად აქვს მომადლებული უზენაესისაგან.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ დღის პროგრამით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება გაწერილ დროში საუკეთესო ხარისხით შესრულდა.

წლევანდელ სახალხო ზეიმზე დასახელდნენ თერჯოლის საპატიო მოქალაქეები, ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.

თერჯოლობის ღონისძიებებზე დაწვრილებით ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

გილოცავთ თერჯოლის საპატიო მოქალაქეობას!

ცისანა მაკარიძე



დარეჯან სარალიძე

ეთერ ტურავა

თამარ ღარიბაშვილი

გულთამზე კუბლაშვილი



ავთანდილ ბუცხრიკიძე

მევლუდ გეწაძე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

საგზაო ინფრასტრუქტურა

ახალთერჯოლა, ბარდუბანი, თუზი, ჩხარი, კვახჭირი

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის 13 ლოკაციაზე მოეწყო ან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ადგილობრივი მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, საგზაო ინფრასტრუქტურა რეგიონული განვითარების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ასევე ეწყობა ახალთერჯოლის, ბარდუბნის, თუზის, ჩხარის და კვახჭირის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ამ დღეებში, სოფელ ახალთერჯოლაში, ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თამჯდომარესთან გიორგი ბარათაშვილთან ერთად დაათვალიერა.

ახალთერჯოლის გზის კეთილმოწყობის სამუშაოებს შპს „სანდრო“ ასრულებს. პროექტის ფარგლებში 42 00 მ2 საგზაო მონაკვეთი რეაბილიტირდება, მისი საერთო ღირებულება 27 3429 ლარია.

შეხვედრას ახალთერჯოლის დეპუტატი ბიძინა ბუცხრიკიძე და მერის წარმომადგენელი გრიგოლ კუბლაშვილი ესწრებოდნენ.

აღნიშნულ საგზაო მონაკვეთებზე 17 000 მ2-მდე არმირებული ბეტონის საფარი იგება, რომელზეც 1 164 000 ლარამდე დაიხარჯება.

ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ სათემოში ეკლესიიდან აბულაძეების უბნამდე მისასვლელი გზა ეწყობა. პროექტს ახორციელებს შპს „ჯეო როუდ ინვესტი“.

თუზში ჩაფიჩაძეების უბნის საავტომობილო გზა კეთილმოეწყობა.

დასასრულს უახლოვდება გზის საფარის დაგება სოფელ კვახჭირში, აღნიშნულ ლოკაციაზე ცენტრალური გზის სავალი ნაწილი და ყუფარაძეების საუბნო მონაკვეთი კეთდება. ასევე დასრულებულია ბეტონის დაგების სამუშაოები სოფელ ჩხარში. ჩხარში პეტრე და შალვა ამირანაშვილების მუზეუმთან მისასვლელი გზა კეთილმოეწყო.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მონიტორინგზე, მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

თორმეტი ახალი სახლი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთა 12 სახლის მშენებლობა-რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.

მორიგ ჯერზე, მუნიციპალიტეტის მერმა, სახლდაზიანებული ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში მშენებარე სახლები დაათვალიერა. მანუჩარ რობაქიძე პირადად იმყოფებოდა რამდენიმე ბენეფიციარის ოჯახში, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები უშენდებათ.

2024 წელს, აღნიშნული პროგრამით, მუნიციპალიტეტში 12 სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. მერის ინიციატივით და საკრებულოს აქტიური ჩართულობით, მიმდინარე წელს სახლდაზიანების პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგენს 540 000 ლარს.

სოციალური პროგრამა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება, რომელიც ითვალისწინებს მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე სოციალურად დაუცველი პირებისთვის, მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ან შეძენას, რომელთა სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

სახლების მშენებლობის მონიტორინგს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე და მერის წარმომადგენლები დაესწრნენ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში სულ 41 სახლი აშენდა.

გავიგოთ რამდენი ვართ!

14 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით აღწერე შენი თავი და შენი ოჯახი.

თვითრეგისტრაციისათვის ისარგებლე ინტერნეტმისამართით: https: / / census2024.geostat.ge / ka Saqstati

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 6 ნოემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა. სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თემურ ქოჩიაშვილის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ჭანკვეტაძისა და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბადრი ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა" და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

განხილული 12 საკითხიდან 4 საკითხი სხდომაზე წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა. 7 საკითხის თაობაზე სხდომას მოახსენა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ და ერთი საკითხი ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ.

ჩვენ სამივე მომხსენებელს ვთხოვეთ, რომ მკითხველისათვის პირადად მიეწოდებინათ ინფორმაციები ამ საკითხთა თაობაზე.

ამჯერად, დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ორი კომისიის თავმჯდომარის შალვა ჭანკვეტაძისა და ბადრი ბუცხრიკიძის კომენტარს. რაც შეეხება ბატონ თემურ ქოჩიაშვილს და მის შეფასებებს, რომლებიც ეხება მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებას და თერჯოლის მდგრადი განვითარების დოკუმენტს, მათ უახლოეს ნომერში გაგაცნობთ.

ბადრი ბუცხრიკიძე, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე.

თავს უფლებას ვაძლევ, რომ განმვარტო, რომ ჩვენს კომისიას წლის განვლილ პერიოდში მომზადებული და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე გატანილი აქვს 29 საკითხი, რომლებსაც მხარი დაუჭირა საკრებულომ. რაც შეეხება საკრებულოს 6 ნოემბრის სხდომას, ჩვენ მასზე განსახილველად წარვადგინეთ ერთი საკითხი, მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, რომ (უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: ქ. თერჯოლა, კოსტავას (ყოფილი გიორგაძის) ქ. N2 -ში განთავსებულ შენობაში არსებული ფართი 137,438 მ2 (7 ოთახი).

რაც შეეხება კითხვას, თუ რა მდგომარეობაა პრივატიზაციის წლიური გეგმის შესრულების მხრივ, აღვნიშნავ, რომ დღეისათვის ამ გზით ბიუჯეტში მიღებულია 270 000 ლარზე მეტი. იმედი გვაქვს, რომ წლის ბოლომდე ბევრად უკეთესი შედეგი გვექნება. აქვე მინდა გითხრათ, რომ მერიასთან ერთად გარკვეული ქმედითი ღონისძიებების გატარებას ვაპირებთ, რომ შესაძლებელი გახდეს დღემდე გადაუჭრელი იმ პრობლემების მოგვარება, რაც არასახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული უპატრონო შენობა-ნაგებობების ლიკვიდაციაა.

შალვა ჭანკვეტაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ყოველ საანგარიშო წელს, ფაქტიურად იშვიათია შემთხვევა, რომ საკრებულოს რომელიმე სხდომაზე, ჩვენი საქმიანობის დარგობრივი მიმართულებით, კომისიას საკითხი არ შეეტანოს განსახილველად, რაც შეეხება 6 ნოემბრის მორიგ სხდომას, განხილვების ყველა ეტაპის გავლის შემდეგ (კომისია, ფრაქცია, ბიურო), მასზე ჩვენ განსახილველად სულ 7 საკითხი წარვადგინეთ.

ხაზგასასმელია, რომ წარდგენილი ყველა საკითხი შეეხებოდა, შვიდ სოციალურ პროგრამაში ცვლილებების შეტანას. უნდა აღვნიშნო, რომ შვიდიდან ხუთ პროგრამაში ცვლილება განხორციელდა მზარდი მიმართულებით, რაც შესაძლებელი გახდა ადგილობრივ ბიუჯეტში ამ მიზნით დამატებითი თანხების მობილიზებით (25 000 ლარი).

ვსარგებლობ შემთხვევით და აღვნიშნავთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების (სულ 15 პროგრამა) მთლიანი ბიუჯეტი თავდაპირველად შეადგენდა 684 000 ლარს, რომელმაც წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ განიცადა ცვლილება და ამ დროისათვის არის 1 789 000 ლარი.

ამ სოციალური პროგრამებიდან გამოვყოფდი სახლდაზიანებული მოქალაქეების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მცირეფართიანი სახლების მშენებლობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს პროგრამა პირველად ჩვენს მუნიციპალიტეტში შეიქმნა. ამ დროისათვის უკვე აშენებულ სახლებს წელს კიდევ 12 სახლი დაემატება, რომლებიც დასრულებული სახით, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი გადაეცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდნენ.



დიდი იმედი გვაქვს, რომ მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მომავალშიც მეტ ერთობლივ ძალისხმევას გასწევენ, რომ სოციალური პროგრამები იყოს კიდევ უფრო მეტად მზარდბიუჯეტიანი.

მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღები ემზადებიან ავტორიზაციისათვის

ახალი სახელმწიფო სტანდარტები სკოლამდელ აღზრდაში

დიდი ამოცანები იდგა და დგას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წინაშე. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წლებში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა აზრი იმის შესახებ, რომ სკოლამდელი სწავლება აუცილებელია და საჭირო. ბავშვი ბაგა-ბაღებში იძენს ცოდნას, ემზადება სკოლისათვის, მდიდრდება მისი თვალსაწიერი, უვითარდება მეტყველება, ურთიერთობა გარემოსთან, აქ ხდება მათი ესთეტიკურ-მუსიკალური აღზრდა, ისინი ეუფლებიან ქუჩაში მოძრაობის წესებს, ჩართულნი არიან სხვადასხვა საქმიანობებში და მზაობის ჯგუფების დამთავრების შემდეგ იწყება მათი სწავლა-აღზრდის უფრო მაღალი საფეხური—სასკოლო ცხოვრება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 26 ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, ზოგი სრულიად ახალ შენობაშია, ზოგიც წლების წინ აშენებულში, მაგრამ ყველა წესრიგშია და შეიძლება სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის განხორციელება.

ახალი სახელმწიფო სტანდარტები

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით 2025 წლიდან იწყება სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციის პროცესი. ავტორიზაციის პირველი სტანდარტი სკოლამდელი დაწესებულების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, შემუშავებული დოკუმენტების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას მოითხოვს.

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურმა ცენტრმა ერთობლივი მუშაობით შეიმუშავა და შექმნა საბავშვო ბაგა-ბაღების მდგრადი განვითარებისათვის—მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, რომლის საჯარო განხილვა მოხდა 17 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერის, სამსახურების უფროსების, საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების და მეთოდისტების, მშობლების მონაწილეობით.

რას ითვალისწინებს თითოეული მიმართულება

მისია

მისია—არის მიზანი ან მიზეზი, რისთვისაც შეიქმნა დაწესებულება. ეს არის თითოეული თანამშრომლისათვის, მშობლისათვის, დაინტერესებული მხარეებისათვის მოტივაციის მიმცემი და შინაარსობრივად გასაგები.

მისიის მიზანია შევუქმნათ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვს განავითაროს და გამოიყენოს შემოქმედებითი უნარები, დასვას კითხვები და ეძიოს პასუხები, იყოს გახსნილი, კრეატიულად მოაზროვნე, ჰქონდეს საშუალება დაინახოს სამყაროს მრავალფეროვნება.

ხედვა

ხედვა—არის იდეალური მომავლის სურათი, რომელიც განსაზღვრავს განვითარების საშუალოვადიან, გრძელვადიან მიზნებს.

ბაგა-ბაღის გარემოში თითოეული ბავშვი უნდა იყოს პროცესის თანაბარი მონაწილე, მითუმეტეს, რომ მათ აქვთ სხვადასხვა აზრები, სურვილები და ინტერესები, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული და დაფასებული. ბავშვის მხარდაჭერის, მოტივაციის და თავდაჯერებულობისათვის მშობლების როლისა და ჩართულობის გაზრდა ბაღის ყოველდღიურობაში. ბავშვს უნარის გასავითარებლად უნდა ჰქონდეს მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობისათვის თანაბარი შესაძლებლობა. ბაღმა უნდა შეძლოს სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების მოძიება, შექმნა, აღჭურვა.

ღირებულებები

ღირებულებები—არის გაცხადებული მიზნების ძირითადი პრინციპები: გუნდური მუშაობა, პროფესიონალიზმი, ინოვაცია, ბავშვთა უფლებების დაცვა და პოზიტიური გარემოს შექმნა. ინოვაციურობა—ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, ინდივიდუალურობა და ინკლუზივი: ჩვენ ვაფასებთ თითოეული ბავშვის უნიკალურ, ძლიერ მხარეებს, ვუზრუნველვყოფთ, რომ ყველა გრძნობდეს თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თანასწორად.

ცნობისმოყვარეობა და ინტერესი: ჩვენ ვაფასებთ სწავლისადმი სიყვარულის გაღვივებას ბავშვების წახალისებით, დასვან კითხვები, განივითარონ შესაძლებლობები და აღმოჩენით მიიღონ სიხარული.

ეს მიმართულებები ავტორიზაციის პროცესის დაწყების პირველი სტანდარტი და სააღმზრდელო პროცესის მართვის მიმართულება, ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, ბაგა-ბაღის გაერთიანებას, მშობლებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, ყველას—თითოეულ ჩვენგანს.

ჟუჟუნა ცხადაძე

მასწავლებლის ეროვნული დღე— პედაგოგთა მოტივაციის მნიშვნელოვანი ბერკეტი

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ორი წლის წინ, დაწესდა მასწავლებლის ეროვნული დღე, რომლითაც ფასდება ეს განსაკუთრებული პროფესია და ვლინდება საუკეთესოთა შორის საუკეთესოები. წელსაც, სპეციალურად შექმნილმა კომისიამ საუკეთესო ისტორიის მქონე 10 კანდიდატი შეარჩია, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი საზოგადოებასა და განათლების სისტემის განვითარებაში. 13 სექტემბერს, თბილისში, ჯილდოს გადაცემის ცერემონია გაიმართა, 10 მასწავლებელს ეროვნული პრემია 10 ათასი ლარი და სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი გადაეცათ.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ხუთი მასწავლებელი ესწრებოდა, მანამდე მათ თავიანთი პრეზენტაციები რაიონულ დონეზე წარმოადგინეს და წარმატებულადაც. რა თქმა უნდა ამ დელეგაციას ჰყავდა ხელმძღვანელი—საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე.

ცნობილი გახდა, რომ ეროვნული პრემიის გადაცემისადმი მიძღვნილი ღონისძიებიდან თერჯოლელი პედაგოგები შთაბეჭდილებებით სავსე და უფრო მოტივირებულები დაბრუნდნენ. ჩვენ გავესაუბრეთ მათ და ერთი კითხვით მივმართეთ: ***რა მოტივაცია მოგცათ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს დაწესებამ და რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ღონისძიებიდან.***

თითოეულმა მათგანმა ხაზი გაუსვა მასწავლებლის როლსა და დანიშნულებას მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, რომ ახალგაზრდობა და განათლება საქართველოს მომავალია; რომ მასწავლებლობა რთული და საპასუხისმგებლოა, საინტერესო და საყვარელი პროფესიაა; რომ მასწავლებელი ასრულებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თითოეული მოსწავლის ცხოვრებაში. ყოველი გაკვეთილი შეიძლება იყოს ნაბიჯი მოსწავლეთა პოტენციალის აღმოჩენისკენ, მათი წარმატებისა და თავდაჯერებულობისაკენ. საუბარში მათ ხაზი გაუსვეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერას პედაგოგებისა მი კვალიფიკაციის ამაღლებაში, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის საკითხებში. არ დავიწყებიათ თავიანთი სკოლების დირექტორების ზრუნვა და ხელშეწყობა იყვნენ წარმატებულები, მადლობელნი არიან იმ ზრუნვისათვის, რომელსაც ყოველდღიურ საქმიანობაში იჩენენ. აღნიშნეს, რომ შთაბეჭდილებებით სავსე და მოტივირებულები დაბრუნდნენ, მადლობლები არიან ამ შესაძლებლობისათვის.

ჩვენი მხრიდან ვიტყვით—მეც, თქვენც და ძალიან ბევრი ადამიანი იცნობს თერჯოლელ პედაგოგებს, დადგება დრო, რომ ისინი არა მარტო დაესწრებიან მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და წარმატებულთა დაჯილდოებას, არამედ თვითონაც იქნებიან ჯილდოს მიმღები, არის ამის თქმის საფუძველი, თერჯოლას საუკეთესო პედაგოგები ჰყავს.

☞6

ავტორიზებული სკოლები— დირექტორების განწყობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სხვადასხვა დროს, კერძო სკოლა „მზეკაბანს“, თერჯოლის №2, სიქთარვის, რუფოთის, ჩხარის №1, ჩხარის №2, ქვედა სიმონეთის №2 საჯარო სკოლებს მინიჭებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი—ავტორიზაცია, რაც ნიშნავს, რომ სკოლები მოწონებულია, ნებადართული, უფლება-მიცემული.

ავტორიზაცია მიმდინარეობდა ოთხი მიმართულებით—სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, მიმართულებები), კურიკულუმები (სასწავლო გეგმები), მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი. ავტორიზაცია სკოლებს ეძლევათ პირობით ან უპირობოდ, სრულად ან არასრულად, განსაზღვრულია ისიც, თუ რამდენი წლით.

ჩვენ ერთადერთი კითხვით მივმართავთ ავტორიზებული სკოლების დირექტორებს, რითაც გვინდა წარმოვაჩინოთ სკოლების მიერ გაწეული შრომა და პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს, ყველას, ვინც ახალგაზრდობის ბედით არის დაინტერესებული შეძლებისდაგვარად შევუქმნათ წარმოდგენა ამ სკოლების საქმიანობაზე. კითხვას პირველი უპასუხებს მუნიციპალიტეტის ერთადერთი კერძო სკოლა „მზეკაბანის“ ხარისხის მართვის მენეჯერი. ამ სკოლამ რამდენჯერმე გაიარა ავტორიზაცია.

კითხვა—რა ძირითადი მოთხოვნები დააკმაყოფილეთ და რა გავლენა მოახდინა, მოახდენს მომავალში ეს სტატუსი სკოლის წარმატებებზე.

აზა მემანიშვილი—კერძო სკოლა „მზეკაბანმა“ პირველად 2012 წელს გაიარა ავტორიზაცია, უხარვეზოდ მივიღეთ ხუთი წლით მუშაობის უფლება. მეორე ავტორიზაცია 2017 წელს ისევ სრულად და უხარვეზოდ გავიარეთ. იმის გამო, რომ 2018 წელს მოგვიწია სხვა შენობაში გადასვლა, ისევ გავიარეთ ავტორიზაცია, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ ერთი მიმართულებით—მატერიალური რესურსი. ეს იყო საკმაოდ რთულად მისაღწევი შედეგი—საკუთარი სახსრებით გავარემონტეთ მთლიანად განადგურებული შენობა, რომელშიც ამჟამად ვართ. 2022 წლის დეკემბერში კვლავ გავიარეთ ავტორიზაცია, ავტორიზაციის საბჭომ კვლავ მოგვანიჭა ავტორიზაცია, ამჯერად ექვსი წლის ვადით. ექსპერტებმა გვითხრეს, რომ ასე გაგვეგრძელებინა მუშაობა, ეს საკმარისი იქნებოდა. განსაკუთრებული და თვალშისაცემი იყო „მზეკაბანელთა“ წარმატებები ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებზე, კონფერენციებსა და ეროვნულ გამოცდებზე. ვინაიდან 2023 წლის 1 იანვრამდე ავტორიზაცია მიმდინარეობდა ძველი სტანდარტით, დაგვევალა, რომ 2024 წლის ზაფხულში ხარისხის მართვის ცენტრის მიერ შექმნილ სპეციალურ პორტალზე აგვეტვირთა თვითშეფასების კითხვების ფორმა, სადაც ასახული იქნებოდა თუ როგორ გადავედით სტანდარტის ახალ ფორმაზე—ავტორიზაციის ახალი სტანდარტი სამის ნაცვლად 4 მიმართულებას მოიცავს: სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები), კურიკულუმები (სასწავლო გეგმები), მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა თქვა, რომ მმართველი გუნდი აქტიურად არის ჩართული სიახლეების დანერგვის საქმეში, სკოლა ორიენტირებულია არაფორმალური განათლების განვითარებაზე. სასწავლო გეგმა შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლასა და განვითარებას თანაბარი შესაძლებლობებით, სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა ასეთი მოსწავლეებისათვის, სკოლაში არის სხვადასხვა წრეები, არაფორმალური განათლების კლუბები, მ.შ. „ჩხირკედელა“, დებატკლუბი, ინტელექტუალთა კლუბი, შემუშავებულია წრეების პროგრამა, თემატიკა და სამუშაო მეთოდოლოგია, კლუბების დებულებები, სადამრიგებლო პროგრამა, რეკომენდაციები „სადამრიგებლო საათის“ განხორციელებისათვის. სკოლაში ტარდება სადირექციო წერები, რომელთა

☞6

„პროფესიონალი მასწავლებლები აძლიერებენ თანამედროვე პროფკავშირს“

მასწავლებელთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე

წელიწადნახევარია, რაც თერჯოლაში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თერჯოლის რაიონულმა ორგანიზაციამ, რომლის საქმიანობას კოორდინატორობას უწევდა ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წამყვანი პედაგოგი, საქვეყნოდ ცნობილი ხელოვანი ხათუნა გურული. მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს გაიმართა აღნიშნული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

პროფესიული კავშირი არის საერთო ინტერესების მქონე მშრომელთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც იბრძვის საკუთარი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებების და ინტერესების გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირები ჩვეულებრივ იქმნებიან იმისათვის, რომ უზრუნველყონ და დაიცვან დასაქმებულის ანაზღაურება, შეღავათები, სამუშაო პირობები ან სოციალური და პოლიტიკური სტატუსი კოლექტიური გარიგების გზით.

მასწავლებელთა კეთილსინდისიერ შრომაზე და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი განვითარება. ისინი ზრდიან ქვეყნის საუკეთესო და სახელოვან ახალგაზრდებს, რაც თავიანთი პროფესიის მიმართ უანგარო სიყვარულისა და თავდადებული შრომის შედეგია. ბუნებრივია, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი, 2013 წლიდან საქმიანობას წარმართავს დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვისა და წევრთა პროფესიული განვითარებისათვის, არის არაერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილების ინიციატორი და სპმთპ დასაქმებულთა ინდივიდუალური შრომითი უფლებების დაცვის სამსახურში.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თერჯოლის რაიონული ორგანიზაციის პირველ საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე საწესდებო მოთხოვნათა დაცვით სპმთპ-ის ახალი სტრუქტურის 500-მა წევრმა წარადგინა 40 დელეგატი. 36 პირველად ორგანიზაციაში, არჩეულ დელეგატებთან ერთად, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აქტიურმა წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

კონფერენციას ესწრებოდნენ: სპმთპ-ის პრეზიდენტი მაია კობახიძე, ვიცე-პრეზიდენტები მარი ალუღიშვილი და ნათია კორძაძე, სპმთპ-ის „პროფესიონალ მასწავლებელთა საკონსულტაციო საბჭოს“ თავმჯდომარე როლანდ ხოჯანაშვილი, სპმთპ-ის გორისა და ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები: ნათია გაბროშვილი და იოსებ ჟღენტი, ზესტაფონის „მომავლის სკოლის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, მენტორი მასწავლებელი გიორგი ნებიერიძე.

კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი, სამანდატო, სამდივნო და ხმის დამთვლელი კომისიები.

სპმთპ-ის თერჯოლის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციას თავმჯდომარეობდა ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი ნატო კვეტენაძე, ხოლო მას შემდეგ, რაც კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი კონფერენციაზე წელიწადნახევრიანი საქმიანობის ანგარიშით წარსდგა ორგანიზაციის კოორდინატორი ხათუნა გურული, შემდეგი აქტივობებით:

—სპმთპ-ის ვიცე-პრეზიდენტ ნათია კორძაძესთან ერთად დასაქმებულთა მოზიდვა-დამაგრების მიმართულებით 50-მდე საინფორმაციო შეხვედრა;

—სპმთპ-ის პრეზიდენტის ინიციატივით და როლანდ ხოჯანაშვილის მენტორობით განხორციელებული

☞7

მზე, ზღვა და სიყვარული...

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

როგორი რომანტიკაა სათაურში!? ალბათ ვინ რა გაიხსენა და გაიფიქრა და ვინ რა. თუმცა, მკითხველს იმედი უნდა გავუცრუო და ზღვის ნაცვლად მინდა რაიონში არსებული, დღეისათვის მეტად სავალალო მდგომარეობაში მყოფი მდინარე ხაუჩას გასაჭირზე ჩემი და არა მხოლოდ ჩემი, გულისტკივილი გავუზიარო.

ეს პატარა მდინარე ჭარბი ნალექების მოსვლისას საკმაოდ ღრმა კალაპოტს გადმოლახავს ხოლმე და საშიში ხდება. მისგან ხშირად დატბორილა მიმდებარე სავარგულები, ხოლო გვალვის შემთხვევაში, როგორც ხუმრობით ამბობენ: „ბაყაყებიც კი ვერ პოულობენ მასში დასაფარავად წყალს“. თუმცა გაოცდებით, როგორ იტევს და იტანს ეს პატარა, ოდესღაც ლამაზ ხეობაში სუფთად მორაკრაკე მდინარე იმ სისასტიკესა და დაუნდობლობით მოპყრობას, რასაც მას ადამიანები აყენებენ.

სათაური შემთხვევით არ შევარჩიე. გადმოცემით ვიცი, წინა საუკუნეებში, ხაუჩას მახლობლად დასახლებული ოჯახებისათვის, ზაფხულობით, როცა ჭები და წყაროები შრებოდა და წყლის ონკანებიდან მიწოდების ფუფუნებას მოკლებული იყვნენ, როგორც იტყვიან, „სულზე მისწრება“ იყო მაშინ ეს მოკრძალებული მდინარე მათთვის. დიახ, იყო „ზღვაც“, რომელსაც სიცხითა და შრომით გათანგული ადამიანები გასაგრილებლადაც იყენებდნენ და დასაბანადაც.

მდინარის ნაპირას შერჩეულ ადგილას, ტანმაღალი ხეების ჩრდილში, ქალბატონები ბავშვებთან ერთად განლაგდებოდნენ სარეცხ-დასაბანი საშუალებებით ბანდნენ ბავშვებს, იქვე რეცხავდნენ და აშრობდნენ კიდევაც თეთრეულს თუ გამოცვლილ ტანსაცმელს. შუადღის სიცხეებსაც თავს აღწევდნენ და საქმემოლეულებიც ბრუნდებოდნენ სახლებში.

ამ პატარა მდინარის წყალობით, აქ ახლომახლო მცხოვრებთა ბავშვებმა, მოზრდილებმა თუ ასაკოვანმა ადამიანებმა თითქმის ყველამ იცოდა ცურვა. აქ იჯანსაღებდნენ ორგანიზმს, იჭერდნენ თევზს, დიახ, აქ იყო მზეც, ზღვაც და სიყვარულიც... რიგ შემთხვევაში.

ყველაფერი ეს იყო დიდი ხნის წინათ და მართალი გითხრათ, საკუთარი ყურით რომ არ მქონდეს მოსმენილი ამ ამბების მომსწრე და მონაწილე ადამიანებისაგან, რომლებიც უკვე ცოცხლები აღარ არიან, ნამდვილად ეჭვი შემეპარებოდა მის სიმართლეში ხაუჩას დღევანდელი მდგომარეობის გამო.

სამწუხაროდ, დღეს გასაჭირითა და დაუნდობლობით ვერავის ვერ გააკვირვებ, გაუტანლობა, სიძულვილის ენით ურთიერთობა, სისასტიკე ადამიანთა ერთი და არცთუ მცირე ნაწილის დამახასიათებელი თვისება გახდა... თუმცა ადამიანები რიგ შემთხვევაში მაინც ვინდობთ ერთმანეთს, მაგრამ რა უბედურება გვჭირს, რატომ არ ვინდობთ ადამიანები ბუნებას, რატომ ვექცევით ასე სასტიკად თვითნაბად სილამაზეს, რომელიც უფალმა ჩვენივე კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის გვიბოძა?!

ვაჟა-ფშაველას რომ ხაუჩას გასაჭირი ენახა, ნამდვილად არ გვაპატიებდა ადამიანებს ბუნების ქმნილების ასე სასტიკად მოპყრობას, ალბათ საშვილიშვილოდ შეგვარცხვენდა და შეგვრისხავდა...

დაბინძურება ძალიან მოკრძალებული შეფასებაა იმისა, რა საშინელებაც აქ ტრიალებს.

ოცდამეერთე საუკუნეში ნამდვილად არ უნდა ჭირდებოდეს ადამიანებს იმის შეხსენება, რომ დაბინძურებული მდინარე და მისი შემოგარენი, რომელზედაც გორებად დგას რიგ შემთხვევაში ღიად დაყრილი, ასევე ცელოფნებსა თუ ტომრებში მოთავსებული ათასგვარი სიბინძურე, თუმცა, საბოლოოდ, დროთა განმავლობაში მიმოფანტული, ხშირად მაწანწალა ძაღლების თავშეყრის ადგილი და ყველაფერი ეს განა არ ნიშნავს სიცოცხლისათვის საშიშ ინფექციებს, უამრავ კოღო-ბუზებს, ვირთხებისა და ქვეწარმავლების სიმრავლეს, იმას, რომ თავი დავანებოთ, რა „სურნელებაც“ იქ ტრიალებს— რამდენიმე დღე ეზოებში დაგროვილი და შემდეგ ვითომ მდინარეში, სინამდვილეში იქვე, გზის ნაპირას დაყრილი ნაგავი, (ყველა შემთხვევაში მიუღებელი) არამგონია, აქ გამვლელ-გამომვლელ შინაურს თუ უცხოს მოწონდეს.

ფოტოზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ ე.წ. „ნაგავსაყრელს“, რომელიც მოსახლეობას თვითნებურად აქვს მოწყობილი. ის ქ. თერჯოლის ვაჟა-ფშაველას მეოთხე შესახვევის ბოლოში მდებარეობს, სადაც არა მხოლოდ ამ ქუჩის მცხოვრებლები, არამედ გვერდით, პარალელური ქუჩებიდან, გაღმა-გამოღმიდანაც ეზიდებიან ნაგავს.

ასეთი ნაგავსაყრელები ამ ადგილებში ან ხაუჩასთან თერჯოლა-სიქთარვის გზაზე არსებული ხიდის მარჯვნივ და მარცხნივ შესახვევში დაახლოებით 700-800 მეტრის სიგრძის მონაკვეთზე ოთხგან არის მოწყობილი, თუმცა ხაუჩა, ნამდვილად ვიცი, უკეთეს მდგომარეობაში არც სხვა ადგილებშია.

ვიდრე დიდი წვიმა არ მოვა, მდინარე კალაპოტს არ გადმოლახავს და არ „გაასუფთავებს“ ადამიანთა სამარცხვინო ნამოქმედარს, ასე იქნება გორებად დაყრილი ნაგავი, თუმცა შემდეგ ისევ ისე გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, ქალაქის დასახლებას ნაგავსაზიდი მანქანა ემსახურება, ურნებიც თვალსაჩინო ადგილებზეა განლაგებული.

ნაგვის ურნები ნამდვილად ვერ დაიტევს იმას, რაც აქ მდინარეში ნაგავი იყრება, მაგრამ ნუთუ ასე ძნელია, ტომრებში მოთავსებული ნარჩენები ურნებთან მიიტანონ და ღიად არ დაყარონ, არც ისე იშვიათად, გზის ნებისმიერ ადგილას?

ხაუჩასა და მისი სანაპიროს, ასევე სანაპიროზე არსებული ხეების პრობლემა მარტო ნაგავი არ არის. ზოგჯერ დიდი რაოდენობით მიტანილ ნაგავს ცეცხლს უკიდებენ, რაც ბუნებრივია, ხეების გახმობის მიზეზი ხდება, საშინელი სანახავია ერთ დღეს მწვანით შემოსილი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ გარუჯული, ფოთოლგაცვენილი მრავალწლიანი ძელქვა, ანდა ნებისმიერი მცენარე. გარდა იმისა, რომ გარემოს ალამაზებს და ჰაერს აჯანსაღებს, მდინარის სანაპიროს ამაგრებს, ხოლო მავანთა დაუდევრობის გამო გამხმარი და განადგურებული ხეები შემდეგ გზის დაზიანების მიზეზიც ხდება. ამის მაგალითიც აქვეა, ვაჟა-ფშაველას მე-4 შესახვევის ქუჩის ე.წ. „ნაგავსაყრელთან“.

თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ვინმე, ვისაც ხელეწიფება და შეუძლია გულთან მიიტანოს ხაუჩას გასაჭირი და მის მახლობლად მცხოვრები ადამიანების გასაჭირი (ეს მხოლოდ ამ სტატიის ავტორის სურვილი არ არის) და ამ პრობლემის მოგვარებაში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო ადამიანებს, რომლებიც ასე დაუდევრად ეპყრობიან ბუნებას, ვთხოვ და მოვუწოდებ, ნუ დავაბინძურებთ გარემოს, რათა ბავშვებმა, შვილებმა, შვილიშვილებმა, თითოეულმა ჰაერი მაინც ისუნთქოს სუფთა... არ დავივიწყოთ, რომ „ბუნება მბრძანებელია“ და პატივი ვცეთ მას.

P.S. გარემოს ყოველი ჩვენგანი აბინძურებს, ვინ როგორ და ვინ რით...

ეს ყველაფერი ორი მთავარი მიზეზის გამო ხდება...

დაბალია ჩვენი მოქალაქეობრივი შეგნების კულტურა და დიდია დაუსჯელობის ატმოსფერო. ორივე ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობაა გასაწევი, როგორც სააგიტაციო-პროპაგანდისტული, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისით. ამავდროულად, მიუღებელია, როცა გარემოს დამბინძურებელთა წინააღმდეგ მოქმედ საკმაოდ მკაცრ ადმინისტრაციულ სასჯელებს იშვიათად მიმართავენ ჩვენი მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები. ასეთ შემთხვევაში კი, დაბინძურებულ გარემოს დაუსჯელობის გამო ბიუჯეტისათვის დაკარგული თანხებიც ემატება!

ზემოთ მოყვანილი სტატია ექვსი წლის წინ დაიბეჭდა გაზეთ „თერჯოლაში“. წარსულის მიმოხილვაც იმიტომ გავაკეთეთ, იქნებ მავანს სურვილი გასჩენოდა ისევ სუფთა, ლამაზად მოწანწკარე, თევზებითა და ლამაზი სანაპიროთი დამშვენებული ენახა, უახლოესი მდინარე, ხოლო ხაუჩას მახლობლად მაცხოვრებელთა ბავშვებს ანკესებით თევზაობის, გართობისა და სიამოვნების მიღების საშუალება ჰქონოდათ სუფთა ჰაერზე და სუფთა გარემოში.

სამწუხაროდ, არაფერი არ შეცვლილა, მეტიც, ახლა ამ პატარა მდინარეს უფრო დიდი ტვირთის ატანა უხდება. იქედან გამომდინარე, რომ ოჯახების უმეტესობას აღარც ფიჩხი ჭირდება და აღარც შეშა, თუ რაიმე მცენარე ეზოსა და ღობეებში მოიჭრა, აქ უნდა გადაყარონ, სხვათა შორის, როცა მაღალი ძაბვის საგენების ქვეშ ხეების მოჭრა ხდება ყოველთვის ხაუჩაში იყრება და არა თუნდაც მის ნაპირებზე. საოჯახო ნივთი, თუნდაც ავეჯი, გამოუყენებული ტანსაცმელი და ა.შ. რა დიდი მოცულობისაც არ უნდა იყოს, ისიც ხაუჩამ უნდა დაიტიოს. ხანგრძლივი წვიმებისას ეს ყველაფერი ზოგიერთ ადგილზე იხერგება, წყალს არ ატარებს, რომელიც კალაპოტიდან გზაზე გადადის და აზიანებს. ასეთი მდგომარეობა ხშირადაა თერჯოლა-სიქთარვის დამაკავშირებელ გზაზე, ხაუჩაზე არსებულ ხიდთან, სადაც გზისთვის მიყენებული ზიანი სახეზეა. არ არის გამორიცხული წყალდიდობისას თვით ხიდიც წაიღოს, იქ მოგროვებული გადაყრილია ხეების თუ დივან-სავარძლებმის წყალობით, სამწუხაროდ...

ეს ყველაფერი ბუნებრივია აწუხებს ახლო მოსახლეობას, აწუხებს ყველას, ვინც ვაჟა-ფშაველას მე-4 შესახვევით, ან თუნდაც მე-5 შესახვევიდან ამ გზით ავტომანქანით გადაადგილდება.

* * *

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ხელისუფლების წარმომადგენლები შეკრებილ მრავალრიცხოვან მოსახლეობასთან შეხვედრაზე მოვიდნენ. იმის შემდეგ, რაც ისაუბრეს მათი მმართველობის პერიოდში მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაკეთებულ და მომავალში გასაკეთებელ პროექტებზე, მოსახლეობას საშუალება მიეცა ესაუბრათ თავიანთ პრობლემებზე. არც ერთ მათგანს პირად გასაჭირზე სიტყვა არ დაუძრავს. ერთი, რაც ითხოვეს ხელისუფლებიდან იყო ძოწენიძეების უბანში, სადაც 27 ოჯახი ცხოვრობს, 23 ბავშვი ყოველდღიურად სკოლებსა და ბაღებში მიჰყავთ, ჰქონდეთ მოსაცდელი, წვიმაში თავი რომ შეაფარონ და მეორე სწორედ, ხაუჩის დანაგვიანების აკრძალვა, ანუ თვითნებურად მოწყობილი ე.წ. ნაგავსაყრელის როგორმე გაუქმება მოხდეს.

გაიცა დაპირება, რომ დაემატება სანაგვე ურნები, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გამკაცრდება ზედამხედველობა, თუმცა ამით რამდენად გადაიჭრება პრობლემა არავინ იცის, ვერც ხელისუფლება და ვერც მოსახლეობა ვისაც ეს მდგომარეობა აწუხებს ვერ გააკონტროლებს ვინ, სად დაყრის ნაგავს.

ვერავის ვაკადრებთ, რომ მათი მოქალაქეობრივი შეგნების კულტურაა დაბალი, თუმცა ისიცაა, რომ ვერც ხელისუფლება და ვერც შეწუხებული ადამიანები სასჯელისათვის ვერ იმეტებენ მათ, ვინ ასე დაუდევრად ეკიდება ამ მეტად საჭირბოროტო საკითხს. თუმცა შეიძლება კიდევაც იციან ვინც აკეთებს ამ უმსგავსოებას. რა გამოდის, ვწეროთ და ვიკითხოთ?

და მაინც მოგიწოდებთ მეგობრებო, მეზობლებო ნუ დავყრით ნაგავს, სადაც მისი ადგილი არ არის!

ვიქონიოთ ლამაზად ჩვენი გზისპირები, ჩვენი ხაუჩა. როცა ლამაზი მოწესრიგებული ეზოებიდან გამოდიხარ, განა ცუდია ყველგან სილამაზისა და სისუფთავეს ხედავდეთ?

მზია ცქიფურიშვილი

მასწავლებლის ეროვნული დღე— პედაგოგთა მოტივაციის მნიშვნელოვანი ბერკეტი

4 ☜

შთაბეჭდილებები და ფიქრები მასწავლებლის ეროვნული დღის აღნიშვნის შემდეგ.

ზოია ბუცხრიკიძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

იყო პედაგოგი ნიშნავს უსაზღვროდ გიყვარდეს ბავშვები, გიყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლი და გქონდეს უნარი ბავშვებსაც გადასდო ეს სიყვარული. მასწავლებლობა მომავალ თაობაზე მუდმივი ზრუნვაა, დაუსრულებელი სამუშაო დღეა. უსაზღვრო შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ბავშვი დასახულ მიზნამდე მიიყვანო და იყო მისი სულის მესაიდუმლე.

ბედნიერია ერი, ქვეყანა, სადაც ბავშვი პრიორიტეტია, სადაც იციან, რომ მომავალი განათლებაშია, სადაც განათლების „მესაჭე", მასწავლებელი დაფასებულია, ხელის გულზე ჰყავთ, პატივს სცემენ მის ნაშრომს, ნაღვაწს, აფასებენ მის თავდადებას, სადაც განათლება ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს.

ჩვენ დიდი წარსულისა და კიდევ უფრო დიდი მომავლის ქვეყანა ვართ, იმიტომ, რომ გვყავდა და გვყავს მასწავლებლები, რომელთა ცხოვრების წესი მომავალ თაობაზე ზრუნვა და მათი გახარების უნარია.

უამრავ ღირსეულ პედაგოგთა შორის, არიან ღირსეულთა შორის ღირსეულები, რომელთაც ჩვენი ქვეყნის განათლების სამინისტრო არ ტოვებს ყურადღების მიღმა, სწორედ ამის გამოხატულება იყო წარმატებულ პედაგოგთა დაჯილდოება ქალაქ თბილისში.

ბედნიერი ვარ, რადგან წილად მხვდა, ვყოფილიყავი ამ დიდი ფორუმის მონაწილე, ეს იყო უსაზღვრო შრომის, თავდადებისა და სიყვარულის დიდი ზეიმი. ჩემთვის კი ერთ-ერთი ულამაზესი და სასიამოვნო ემოციებით დატვირთული დღე, სადაც კარგად ჩანდა მადლიერება, ღირსეული და საკუთარი საქმის პროფესიონალი ადამიანების მიმართ.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მასწავლებლები ჩვენი ქვეყნის განათლების სადარაჯოზე, რამეთუ ცოდნა ყველაზე ბასრი იარაღია მტრებთან ბრძოლაში.

თეა დოლაკიძე, კერძო სკოლა „მზეკაბანი", რუფოთისა და ეწრის საჯარო სკოლა

მასწავლებლის ეროვნული პრემიის დაწესება უდიდეს სტიმულად მიმაჩნია, რადგან ის ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას მთლიან საზოგადოებაში. ეს პრემია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ძალისხმევა და მიღწევები ფართო მასშტაბით გამოავლინონ. ასეთი დღეები გვახსენებს, რომ ჩვენთან ერთად ათასობით მასწავლებელი ყოველდღიურად ემსახურება მომავალი თაობის განათლებას და მათ განვითარებას.

ღონისძიებაზე ყოფნამ და სხვა პედაგოგებთან შეხვედრამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს პრემია ნამდვილად მაძლევს მოტივაციას, განვაგრძო თვითგანვითარება და პროფესიული ზრდა, რათა მომავალში კვლავ მივიღო მონაწილეობა მსგავს ღონისძიებებში და შევიტანო ჩემი წვლილი განათლების განვითარებაში.

მზია მაკარიძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

წარმატებულ პედაგოგს ვფიქრობ სულ ორი რამ სჭირდება: უყვარდეს ბავშვები და საკუთარი პროფესია. ეს ორი ფაქტორი აძლევს ბიძგს მასწავლებელს მუდმივად ვითარდებოდეს, იყოს სინაზის, სიფაქიზის სიმშვიდის განსახიერება, იყოს ბავშვების ცხოვრების გზამკვლევი, დიდი მეგობარი, რომელიც მათ არამარტო საგნის სიყვარულს, არამედ ადამიანობის პიროვნებებად ჩამოყალიბების კარგ მაგალითს ასწავლის.

სასიხარულოა ნამდვილად ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად პედაგოგს, განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია. წელს „მასწავლებლის ჯილდო 2024"ცერემონიაზე თერჯოლის რაიონიდან კოლეგებთან ერთად ვიმყოფებოდი. დაჯილდოების ღონისძიება იყო საოცრად შთამბეჭდავი და ამაღელვებელი, ეს იყო უდიდესი მოტივაცია, მუხტი, რომელიც ახალი იდეებით, ენერგიით და შემოქმედებითობით აღგავსებს, კიდევ უფრო გაყვარებს საქმეს, რომელსაც ემსახურები. დამერწმუნებით ალბათ საქმე საუკეთესოდ მხოლოდ იქ კეთდება, სადაც სითბო, მეგობრობა და სიყვარულია.

სოფიო ცეცხლაძე, ეწრის საჯარო სკოლა

მასწავლებელი მხოლოდ კონკრეტული საგნის სწავლებით არ ფასდება, არამედ, იგი უნდა ზრდიდეს პიროვნებებს, რომლებიც შეითვისებენ, შეინახავენ, მოუფრთხილდებიან და თაობებს გადასცემენ ქართულ ღირებულებებს, ადათ-წესებს, კულტურის მარგალიტებს, რომლებიც დაიცავენ და პატივს მიაგებენ სხვა ერების მიღწევებს.

ჭეშმარიტი მასწავლებელი თავის საქმეს უანგაროდ, გულწრფელად და დიდი მონდომებით ასრულებს. მისთვის ისიც საკმარისია, თუ მისი მოსწავლეები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდებიან, წარმატებებს მიაღწევენ პროფესიულ საქმიანობაში და იდგებიან ერის ღირსების სადარაჯოზე; თუმცა, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა, მასწავლებლის ეროვნული პრემიის დაარსების შესახებ, დამატებითი მოტივაციაა პედაგოგებისთვის, გამუდმებით განვითარდნენ, იყვნენ ლიდერები, ინოვატორები, ოპტიმისტები, კოლეგიალურები, უფრო მეტი ისწავლონ და ასწავლონ.

ნამდვილად საამაყოა, რომ საქართველოს ძალიან ბევრი ღირსეული მასწავლებელი ჰყავს, რასაც ადასტურებს, ამ ბოლო წლებში, ეროვნულ გამოცდებზე, აბიტურიენტების მიერ მიღებული მაღალი შედეგები.

საქართველოს მომავალი განათლებაშია. მასწავლებლობა ყველაზე დასაფასებელი და საჭირო პროფესიაა. ყველა კოლეგას ვუსურვებ წარმატებებს. ხუთ თერჯოლელ პედაგოგთან ერთად მეც განვიცადე განსაკუთრებული სიამოვნება მასწავლებლის ეროვნული პრემიის დაჯილდოების ცერემონიალზე დახსწრების გამო. მადლობა ამ შესაძლებლობისათვის.

დარეჯან ჭანტურიძე, კერძო სკოლა „მზეკაბანი", ღვანკითის საჯარო სკოლა.

მასწავლებლის მოტივაცია მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ მისი მუშაობის ხარისხზე, არამედ მოსწავლის მიერ განათლების ზოგად აღქმაზე. მასწავლებლის პროფესია არის მუდმივი თვითგანვითარება. ყოველი დღე არის შესაძლებლობა, გახდე უკეთესი, აღმოაჩინო ახალი მიდგომები და კოლეგებს გაუზიარო საკუთარი გამოცდილება. მოსწავლეების, მშობლებისა და საზოგადოების დადებითი გამოხმაურება მასწავლებლისთვის ძლიერი მოტივატორია, მაშინაც კი, როდესაც შედეგები არ ჩანს მაშინვე. დროთა განმავლობაში ბევრი მოსწავლე მიხვდება, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული პედაგოგის გაკვეთილი. როდესაც 2024 წლის „მასწავლებლის ეროვნული პრემიის" ცერემონიაზე მოვხვდი, რა თქმა უნდა, ჩემთვის უდიდესი მოტივაცია იყო. ეროვნული პრემიის მფლობელი კოლეგები წარმოადგენენ წარმატების სიმბოლოს, ატარებენ ყველა მასწავლებლის ღირებულებებსა და ინტერესებს. მათი გამოცდილების გაზიარება ყოველთვის მეხმარება პროფესიული გამოწვევების გამკლავებაში. მუდმივად ვცდილობ ინოვაციური მეთოდების გამოყენებას და სწავლებისადმი ახალი მიდგომების შექმნას, რათა გავაცნობიერო თვითრეალიზების სასიამოვნო პროცესი. თითოეული მასწავლებელი უნიკალურია და მისი პირადი ჩართულობა ქმნის სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ ატმოსფეროს, რომელიც ეხმარება ბავშვებს არა მხოლოდ ისწავლონ, არამედ განვითარდნენ, როგორც ინდივიდები. თანამედროვე მასწავლებელი მზად უნდა იყოს ისწავლოს მთელი ცხოვრება, დაეუფლოს ახალ ტექნოლოგიებს, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ტექნიკას. ადგილობრივ ხელმძღვანელთა თანადგომა, მთავრობის დადგენილება ეროვნული დღის თაობაზე აადვილებს ჩვენს მუშაობას, სწავლას უფრო ეფექტურსა და საინტერესოს ხდის ბავშვებისთვის. ჩვენ, როგორც პედაგოგები, ვაღიარებთ ჩვენი საერთო ძალისხმევის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ძლიერი და განათლებული მომავლის შესაქმნელად.

ავტორიზებული სკოლები—დირექტორების განწყობა

4 ☜

მიზანია მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და მათი გათვალისწინება მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ქეთევან ბოტკოველმა თქვა ისიც, რომ სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური, მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ სკოლაში შემუშავებულია წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და ხანძრისსაწინააღმდეგო უსაფრთხოებების უზრუნველყოფის მექანიზმები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და პირობების დებულება, სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. აღინიშნა, რომ სასკოლო სამოქმედო გეგმა სრულად მოიცავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებს, შესრულების დროსა და პასუხისმგებელ პირებს, მაგრამ მასში არ არის ჩამოყალიბებული შესრულების ინდიკატორები, რისთვისაც სკოლას ექსპერტის მიერ მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის ფორმას დაემატოს შესრულების ინდიკატორები, რომლის საშუალებითაც მარტივად შეფასდებოდა მიღწეული იყო თუ არა გარკვეული მიზანი, ან შესრულდა თუ არა დასახული ამოცანა. სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსის მართვის მექანიზმები და სხვა.

საბჭოს წევრებს ექსპერტთან ან სკოლის წარმომადგენლებთან შეკითხვა არ ჰქონიათ, ავტორიზაციის მინიჭების საკითხს წინააღმდეგი საბჭოს წევრთაგან არ ჰყოლია. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მოგვენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზისო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და განგვესაზღვრა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 150-ით.

სკოლის ძლიერი მხარეები: მაღალკვალიფიციური, მდიდარი გამოცდილების მქონე პერსონალი; კონკურენტული ბრძოლის მაღალი უნარი; ორგანიზაციის სათანადო იმიჯი და მაღალი ნდობა; უსაფრთხოების ყველა მექანიზმი; ადმინისტრაციის მზაობა სიახლეებისადმი; სრულყოფილი სტრუქტურა და მისი შესატყვისი მართვის სტილი; წარმატებული და აქტიური მოსწავლეები; წარმატებული კურსდამთავრებულები; მასწავლებელთა და მოსწავლეთა წახალისების ეფექტური სისტემა; უწყვეტი სააღმზრდელო მომსახურება (ონლაინ სააღმზრდელო მომსახურება); საჭირო ინტერნეტ-რესურსი; დაწესებულების ადგილმდებარეობა; მოსწავლეთა მცირე რაოდენობა კლასებში; მოწესრიგებული სველი წერტილები; ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდი; კომპიუტერების ოთახი; სააქტო დარბაზი; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა; სკოლის სრულყოფილი ვებგვერდი; ინტერნეტით შეუფერხებელი უზრუნველყოფა; მოსწავლის აქტიური მონაწილეობა სასწავლო ცხოვრებაში.

გასაუმჯობესებელი მხარეები: არასაკმარისი ფინანსური რესურსი; სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან პარტნიორული ურთიერთობა; მრავალფეროვანი კომპლექსური დავალების შექმნა; სკოლის ცხოვრებაში მშობელთა მეტი ნაწილის ჩართვა; მცირე ფართის სამკითხველო დარბაზი—ასეთი იყო ექსპერტთა შეფასება, უმოკლესი ინფორმაცია სკოლის ავტორიზაციის თაობაზე.

***

ავტორიზაციის მინიჭება მნიშვნელოვანი მოვლენაა სკოლის ცხოვრებაში. დიდია მოთხოვნები, შეფასებები მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, დადებითი შეფასების განსაკუთრებულობა ისაა, რომ სკოლას ეძლევა სტიმული უკეთ მუშაობისათვის და არ აქვთ მოდუნების, ერთ ადგილზე დგომის უფლება. სკოლა მუდამ უნდა ვითარდებოდეს, მშობლები ამ დროს მეტად რწმუნდებიან, რომ მათი შვილების აღზრდა საიმედო ხელშია.

***

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით შვიდი ავტორიზებული სკოლაა. გაზეთი „თერჯოლა" ავტორიზებული სკოლის დირექტორების ინფორმაციას ამ ერთადერთ კითხვაზე გაზეთ „თერჯოლის" მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ. ავტორიზაციისათვის სხვა საჯარო სკოლებიც ემზადებიან.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

„პროფესიონალი მასწავლებლები აძლიერებენ თანამედროვე პროფკავშირს“

4 ☞

მასწავლებელთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე

სამი 10 საათიანი ტრენინგი;

—გრძელვადიანი ონლაინ ტრენინგები მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის სხვადასხვა მოდულებით;

—დირექტორობის მსურველთა ტრენინგები;

—2024 წლის 18 თებერვალს თერჯოლის მასწავლებელთა პროფესიული კონფერენცია „წარმატებული პრაქტიკის გაზიარება“, რომელშიც 21-მა პედაგოგმა წარადგინა პრეზენტაცია;

—სკოლამდელი დაწესებულებების დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების 5 ტრენინგი და სხვა;

—ორ ეროვნულ საერთაშორისო და ონლაინ ეროვნულ კონფერენციებში მონაწილეობა მიიღეს და პრეზენტაციები წარადგინეს თერჯოლელმა მასწავლებლებმა.

ხათუნა გურულმა აუდიტორიის მომავალი ოთხწლიანი სამოქმედო გეგმაც წარუდგინა და იმედი გამოთქვა, რომ სპმთპ-ის ხელმძღვანელობის თანადგომით შეძლებს წესდებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

ხათუნა გურულმა მადლობა გადაუხადა სპმთპ-ის პრეზიდენტს მაია კობახიძეს, ვიცეპრეზიდენტს ნათია კორძაძეს და „პროფესიონალ მასწავლებელთა საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარეს როლანდ ხოჯანაშვილს გაწეული მუშაობისა და მხარდაჭერისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს: აზა მემანიშვილმა—კერძო სკოლა „მზეკაბანის“ ხელმძღვანელი, მაია ბარათაშვილმა—№1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ირმა კირკიტაძემ—№2 საბავშვო ბაგა-ბაღის პედაგოგმა.

გამომსვლელებმა მადლიერებით აღნიშნეს სპმთპ-ის მიერ გაწეული დახმარებისა და გადაჭრილ საკითხთა გამო მათი სკოლის პედაგოგთა დახმარებისათვის, ხელფასების ზრდის, მასწავლებელთა ავტორიტეტის ამაღლებისა და პროფესიულ ზრდაზე ზრუნვასთან დაკავშირებით. დისკუსია გაიმართა აგრეთვე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ბაგა-ბაღების პედაგოგებთან.

ხათუნა გურულმა მადლიერება გამოხატა თერჯოლის რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ქალბატონ ქეთევან შეყრილაძის და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელის მაია თორთლაძის მიმართ კონსტრუქციული თანამშრომლობისა და დემოკრატიული ღირებულებების გაზიარებისათვის.

თერჯოლის კონფერენციის დელეგატებმა ერთსულოვნად გამოუცხადეს ნდობა ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს ხათუნა გურულს და იგი სპმთპ-ს თერჯოლის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ოთხი წლის ვადით აირჩიეს.

„გილოცავთ კოლეგებო! ამ დღიდან თერჯოლის მასწავლებელთა ხმა სპმთპ-ის საქმიანობაში სრულუფლებიანია! ათი წელია მიმდინარეობს სპმთპ-ს აღდგენითი სამუშაოები და ეს დღეც დადგა თერჯოლაში, რაც მხოლოდ თქვენი ერთიანობით, მაღალი ცნობიერებით და პროფკავშირისადმი ნდობით შევძელით.

მადლობა თერჯოლელ პედაგოგებს! თქვენ აირჩიეთ პრინციპული, კეთილსინდისიერი, მაღალი მოტივაციისა და პასუხისმგებლობის მქონე ლიდერი—ხათუნა გურული, იმედს გამოვთქვამთ, ყველა ერთად შეძლებთ გააძლიეროთ თერჯოლის რაიონული ორგანიზაცია“—მიმართა კონფერენციის მონაწილეებს სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.

სპმთპ-ის თერჯოლის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციამ მხარი დაუჭირა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ საბავშვო ბაგა-ბაღების მეთოდისტის თეა ქემოკლიძის არჩევას, დაამტკიცა რაიონული საბჭო 8 კაცის შემადგენლობით: თეა ქემოკლიძე, მთვარისა ნოზაძე, ირმა კირკიტაძე, აზა მემანიშვილი, მადონა გამეზარდაშვილი, ანერი მემანიშვილი, ინგა გაბედავა და მადონა ჭანტურიძე. კონფერენციამ აირჩია სპმთპ-ის მე-9 საანგარიშო ყრილობის დელეგატები ხათუნა გურულის, თეა ქემოკლიძის და ნატო კვეტენაძის შემადგენლობით.

კონფერენციის დასასრულს ხათუნა გურულმა მადლობა გადაუხადა კონფერენციის თავმჯდომარეს ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორ მასწავლებელს ნატო კვეტენაძეს კონფერენციის თავმჯდომარეობისა და თანადგომისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს ნინო ოქრუაძეს ხელშეწყობისათვის და თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორს ელისო მურადაშვილს განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

„ქალბატონო მაია, მადლობა თქვენ თანადგომისა და ხელშეწყობისათვის. თქვენი თავდაუზოგავი საქმიანობისათვის, მასწავლებელთა უფლებების დაცვისათვის, მათი ერთობის და ხმის გაძლიერებისათვის. მაქსიმალურად ვცდილობდი მეხელმძღვანელა თქვენი პრინციპებით და მაგალითი ამეღო თქვენგან. ვეცდები გავამართლო ეს ნდობა“—მიმართა სპმთპ-ის პრეზიდენტს მაია კობახიძეს სპმთპ-ის თერჯოლის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ხათუნა გურულმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიმართეს რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ქეთევან შეყრილაძემ და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელმა მაია თორთლაძემ.

გაიმართა დისკუსია. მაია კობახიძემ ყურადღება გაამახვილა ბოლო 12 წლის განმავლობაში სპმთ-ის ინიციატივებით მიღებულ შედეგებზე, მასწავლებელთა ხელფასების ზრდის ტენდენციებსა და სამომავლო პრიორიტეტებზე. მან მადლობა გადაუხადა გამომსვლელებს აქტუალურ პრობლემებზე, საჭიროებებზე კვალიფიციური და ღია მსჯელობისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

„წმიდა 100 000 მოწამეთა მეოხებით უფალმა გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო“-ილია II

13 ნოემბერს სრულიად საქართველო და სამოციქულო, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია „წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა“ ხსენების დღეს აღნიშნავს.

ტრადიციისამებრ, ამ დღეს მორწმუნეები თბილისში, მეტეხის ხიდთან, მტკვარში ყვავილებს ყრიან და ამგვარად მიაგებენ პატივს 100 ათას მოწამეს.

რვა საუკუნის წინ, 1226 წელს, თბილისს ახალ განსაცდელად დაატყდა თავ- სხვარაზმელი ჯალალედინის ურდოები. ისინი საქართველოში შუა აზიიდან შემოიჭრნენ. სპარსელებმა და ხვარაზმელებმა დედაქალაქს ალყა შემოარტყეს. ჯარები ქალაქს შეესივნენ და არნახული სისასტიკით იწყეს მოსახლეობის ჟლეტა. გამხეცებული ხვარაზმელები ჩვილ ბავშვებს დედებს მკერდიდან აგლეჯდდნენ და თავებით ქვაფენილზე ანარცხებდნენ, მერე წუხილით შეშლილ დედებს ტვინდანთხეულ შვილებს ზედ აკლავდნენ. მოხუცებულთ ცხენთა ფლოქვებით სრესდნენ, ჭაბუკებს კოდავდნენ... ქუჩებში სისხლის მდინარე დიოდა... მტკვარი სისხლით შეიღება და გვამებით გაივსო.

ხვარაზმელს თითქოს სისხლიც მობეზრდა, ბრძანა: სიცოცხლე აჩუქეთ მხოლოდ მათ, ვინც ქრისტიანობას უარყოფს და მაჰმადის რჯულს შეუდგებაო. ზოგიერთმა საშინელი კაცთაკ-

ვლით შეძრწუნებულმა მართლაც დათმო ქრისტიანობა, უმრავლესობამ კი სიცოცხლეს წამებულის გვირგვინი არჩია.

ჯალალედინმა სიონის ლავრიდან წმიდა ჯვარი ჩამოაგდო და მიწაზე დაანარცხა. გუმბათი სულ გადაანგრია სიონს და მის ადგილზე თავისი „ბილწი საჯდომი დაიდგა“, ზედ საგანგებოდ აღმართული ფიცარნაგით ადიოდა და იქიდან აწიოკებულ ქალაქს ათვალიერებდა. სიონის ტაძრიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატები გამოატანინა და მისგანვე აგებული „ხიდის“ შესასვლელთან პირაღმა დააყრევინა. ბრძანა, რიგ-რიგად მოეყვანათ ყველა ქრისტიანი, ქალიცა და კაციც, ყველას ცალკეულად ჩაეწიხლა და დაეფურთხებინა ხატებისთვის და ფიცით უარეყოთ ქრისტეს რჯული, ხოლო ვინც ამას არ აღასრულებდა, იქვე თავი წარეკვეთათ და მტკვარში ესროლათ...

იმ დღეს მონღოლებმა ასი ათას ქართველს მოჰკვეთეს თავი და მათი გვამები მდინარეში ჩაყარეს. ურდომ არ დაინდო არც მოხუცები და არც ბავშვები. როგორც მემატიანე მოგვითხრობს, მტკვარი რამოდენიმე დღის განმავლობაში სისხლით შეღებილი მოდიოდა. 100 000 მოწამე შეუერთდა იმ დღეს წმინდანთა დასს, ზეციურ საქართველოს.

23 ნოემბერს გიორგობაა

გილოცავთ!

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“...

ჩვენ დავბრუნდებით

მრავალი ტკივილად დარჩენილი დღეა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლებზე და მაინც 27 სექტემბერი თითქოს ყველაზე მწარე, ამაზრზენი და სევდისფერია. ეს არ არის მხოლოდ ერთი დღის გახსენება და შემდეგში მშვიდი დღეები, ეს ის რეალობაა, რომელიც არც ერთი წლის შემდეგ და არც არასოდეს იქნება დავიწყებული...

27 სექტემბერი საქართველოს უახლოეს ისტორიაში უდიდესი ტრაგედიის—სოხუმის დაცემის დღეა...

იცის ჩვენმა მკითხველმა, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და სოხუმის დაცემით დასრულდა. დღემდე დაუზუსტებელი ინფორმაციით ათიათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი, თუ ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი რიგითი მოქალაქე დაიღუპა, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 300 ათასი ადამიანი კი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა.

31 წელი გავიდა და მწარე რეალობის განცდა არა თუ ფერმკრთალდება, მეტ სევდასა და ტკივილს გვრის ყველას, ქვეყნის ბედზე დაფიქრებულ, საღად მოაზროვნეს, ვისთვისაც ძვირფასია თითოეული დაღუპული ადამიანი, საკუთარ სახლ-კარს მოწყვეტილის ბედი, ტერიტორიული მთლიანობა ქვეყნისა...

თერჯოლამ უამრავ დევნილს მისცა მაშინ თავშესაფარი, რომელთა იმედი თავიანთ სახლ-კარში უმოკლეს დროში დაბრუნებისა უკვე 30 წელზე მეტია, ისევ იმედად რჩება. ამასობაში იზრდებიან ახალგაზრდები, ქორწინდებიან, მრავლდებიან, ამ ქვეყნიდან გასულთა ძვალთშესალაგადაც, სამწუხაროდ, თერჯოლის მიწა იქცა.

სოხუმის ფერი თეთრია...

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონდა ბედნიერება საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის, აფხაზეთის ნახვისა ვერასოდეს დაივიწყებს მის უმშვენიერეს სანახებს, ზღვასა და ხმელეთს. მუდამ რომ გენატრება და კვლავაც რომ გინდა დაბრუნდე, მოინახულო და დატკბე. აბა წარმოვიდგინოთ იმ ადამიანების მდგომარეობა ასეთი „სამოთხე“ საცხოვრისი რომ დატოვეს და მათი ცხოვრების აზრი იქ დაბრუნება რომაა დღემდე... მათ უჭირდათ და უჭირთ აფხაზეთის გარეშე... სანათესაოს, სამეზობლოს და სამეგობროს გარეშე, საყვარელ ადამიანთა საფლავების გარეშე...

ცხოვრება გრძელდება და ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც სიცოცხლე გაიღეს ამ ომში, დავიწყებას არ მიეცეს, ხოლო დევნილებს ოდესმე მაინც აუსრულდეს ოცნება საკუთარ სახლებში დაბრუნებისა, დაღუპულთა საფლავებთან მისვლისა და დატირებისა.

დიახ, აფხაზეთის ტკივილიანი თემა მარადიულია და უფროსმა თაობამ ახალგაზრდებს, მოსწავლეებს უნდა გადასცეს და ასწავლოს, მოვალეობა და პასუხისმგებლობა ყოველივე ამის მიმართ. ღვანკითის საჯარო სკოლის (დირექტორი ინგა ჯალიაშვილი, კლასის ხელმძღვანელი, ეთერ ტურავა) მეცხრეკლასელთა ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიებაც, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

ლამაზად მოურთავთ დარბაზი...

ღონისძიების სლოგანი კი პოეტის სიტყვებია, რომელიც მუდამ ჭეშმარიტებას ღაღადებს, ასე იყო, ასეა დღემდე: „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“... იქვე შანდლებზე სანთლები ციმციმებენ აფხაზეთის ომს შეწირული ვაჟკაცების სულებისათვის.

დარბაზში სკოლის პედაგოგები, მოწვეული სტუმრები, მოსწავლეთა მშობლები და გამორჩეული პატივით მოწვეული ის დევნილები არიან, 31 წლის წინ სიკვდილს რომ ჩახედეს თვალებში, ჯერ სოხუმში, შემდეგ კი ჯოჯოხეთური ჭუბერისა და კოდორის, სვანეთის იმ გზაზე უამრავი, დევნილის სიცოცხლე რომ შეიწირა.

და აი მუსიკის ფონზე შემოდიან ღონისძიების ორგანიზატორები: ღვანკითის საჯარო სკოლის პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ქალბატონი ეთერ ტურავა და მისი სადამრიგებლო მეცხრე კლასის საუკეთესო გოგო-ბიჭები. ძალიან მგრძნობიარედ წაკითხული გალაკტიონის ლექსით „გამარჯობა აფხაზეთო შენი“... ქალბატონი ეთერი ხსნის ღონისძიებას. შემდეგ კი ესალმება და მადლობას უხდის შეკრებილ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი დევნილებს, იმის სურვილით, რომ თუნდაც ერთი დღე გაულამაზონ მათ.

მოსწავლეები ყვებიან აფხაზეთის ომის საშინელებათა ისტორიას, ყვებიან თანმიმდევრობით, განცდებით, ყვებიან ლამაზად წაკითხულ ლექსებად და სიმღერებად და ძალიან ძნელია გულგრილად უსმინო არაერთგზის გაცხადებულ სიტყვებს: „აფხაზეთი საქართველოა“, ღონისძიების მონაწილე მოსწავლეებს იგივე სიტყვები სამკერდე ნიშნად მიუბნევიათ გულზე... მერე წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ღონისძიებაში დევნილები ერთვებიან თავიანთი მოგონებებით: სალომე შონია, ფატიმა ბერულავა, გულნარა კაკოიშვილი, ფატიმა კუპატაძე ყვებიან როგორ გამოუცხადეს რომ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ სოხუმი, იყო გაურკვევლობა, შიში, დაბნეულობა. გამოვიდნენ ხელში ჩანთებით სახელდახელოდ შერჩეული ნივთებით, იმის ფიქრით, რომ მალევე დაუბრუნდებოდნენ სახლებს. შემდეგ იყო რის ვაი ვაგლახით თოვლსა და ყინვაში გავლილი კილომეტრები, ხოლო მათი თავშესაფარი მხოლოდ ტყე იყო, არ იცოდნენ სად იყვნენ და სად მიდიოდნენ. ასე მოვიდნენ თერჯოლაში. მათი პირველი მასპინძელი მაშინდელი პიონერული ქალაქი „საპოვნელა“ იყო. სიყვარულით და მადლიერებით საუბრობენ მასპინძლებზე, როგორ სიყვარულით მიიღო და ჩაიხუტა „საპოვნელას“ დირექტორმა ქალბატონმა ლამზირა ბარბაქაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას და პატივისცემას უძღვნიან მას.

„კარგად მიგვიღეს, თუმცა ჩვენი მხარე გვენატრებოდაო“, ამბობენ დანანებით და თითოეულის სახეზე და თვალებში იკითხება, რომ ბედნიერები მხოლოდ იქ, საკუთარ მხარეში იქნებიან, სადაც დაიბადნენ, ფეხი აიდგეს და ანუ სადაც მათი შინაა.

ეთერ ტურავამ თავადაც გაიხსენა აფხაზეთის ომთან დაკავშირებული მწარე მოგონებები. მისი ახლობლებისა და ოჯახის ნათესავების თავს გადახდენილი ისტორიები.

2008 წლის ომიც გაიხსენეს და მაინც... „შენი სიცოცხლე არის უკვდავი, შენ დამარცხება არ გიწერია“, იმედით შეუძახეს მამულს...

ისევ ლამაზად წაკითხული ლექსები და სიმღერები.

სცენაზე დგანან სრულიად ჩამოყალიბებული ახალგაზრდები, გააზრებული მოვლენების შეფასებებით სევდით გულდამძიმებულ ადმიანებთან ერთად მაინც უკეთესი ხვალინდელი დღის მომლოდინე და იმედიანები.

ყველაფერი იყო ძალიან ნათელი და მიუხედავად მწარე და ტკივილიანი რეალობისა უმთავრესი სათქმელი ითქვა: „ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში“... „და შენამდე არც თუ ისე შორია“...

ღონისძიებას საუკეთესო წამყვანი თიკა კოვზირიძე და საუკეთესო მონაწილენი ჰყავდა. ესენი იყვნენ: ანა მარია რობაქიძე, ლუკა ქურცაძე, თინა სარდანაძე, რეზო ბუსკივაძე, ნათია ქარქაშაძე, გიორგი ზარნაძე, ლიზი ბუსკივაძე, ირაკლი კუბლაშვილი, ანი ჯანგიანი, გიორგი კუბლაშვილი და კიდევ სიმღერებში საუკეთესო დამხმარე შემსრულებლები: სამუსიკო სკოლის გაერთიანებული ანსამბლის „ჭიუხის“ წევრები, ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლეები: მარიამ ქურცაძე, მარიამ ზარნაძე მე-4 კლასი, ფატი ზარნაძე—მე-7 კლასი, მედეა ბუსკივაძე, ნინი კუბლაშვილი—მე-8 კლასი, თითოეულ მოსწავლეს და პედაგოგს რამაზ მემანიშვილს ეთერ ტურავამ მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის.

ყველანი ბოლომდე დაიხარჯნენ და ერთი ლამაზი დღე ნამდვილად აჩუქეს სტუმრებსა და ყველა მაყურებელს.

ღონისძიებას დაესწრნენ და მოსწავლეთა და მასწავლებლების ერთობლივად წარმოდგენილი ღონისძიებისათვის მადლობა გადაუხადეს სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქალბატონ ეთერ ტურავას და თითოეულ მონაწილეს საუკეთესოდ მიგნებული და ყოველთვის აქტუალური თემის ასე ლამაზად ჩვენებისათვის: სკოლის დირექტორი ინგა ჯალიაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, საბავშვო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი რუსუდან ნიშნიანიძე, მაია რობაქიძე რესურსცენტრის წარმომადგენელი, ღვანკითის საჯაროს სკოლის კურსდამთავრებული, სოფო ბუსკივაძე, ამ სკოლის კურსდამთავრებული, ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელი, ნინო ხუჯაძე ღვანკითის საბავშვო ბაღის დირექტორი.

P.S. ეთერ მასწავლებელს კიდევ აქვს სათქმელი... ღვანკითის სკოლა ერთ-ერთი იყო, რომლის მასწავლებელმა, ეთერ ტურავამ მოსწავლეებთან ერთად ომის დამთავრების შემდეგ თვალცრემლიანებმა მოიარეს კოდორის ხეობა, ჭუბერამდე გაიარეს ის გზა, ის სიკვდილ-სიცოცხლის გზა, რომელიც აფხაზეთიდან დევნილებმა გამოიარეს. გზადაგზა იყო დაღუპული პატარებისა და დიდების საფლავები, იყო ნივთები და ეს ყველაფერი იყო საშინელი სანახავი.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

„ლიბერთი ბანკი“

LBRTGE22,

ანგარიში

GE32LB0113133960124000

ს/კ 231948872